

6. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის კომისარიატების დაქვემდებარების შესახებ

აფხაზეთის სამხედრო კომისარიატების საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის სამხედრო კომისარიატები დაექვემდებაროს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებულ საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და დაქვემდებარების დროებით საბჭოს.

2. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებულ საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და დაქვემდებარების დროებით საბჭოსთან ერთად განსაზღვროს აფხაზეთის სამხედრო კომისარიატების შემდგომი მოქმედების წესი.

3. ეს დადგენილება ძალაში შედის 1992 წლის 1 მარტიდან.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 25 თებერვალი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)